# [პრეზიდენტი ხურვალეთში განვითარებულ მოვლენებს რუსულ პროვოკაციას უწოდებს]



**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი სოფელ ხურვალეთთან საოკუპა ციო რეჟიმის ქმედებებს რუსეთის მხრიდან განხორციელებულ მორიგ პროვოკაციას უწოდებს.**

საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ამას გმობს არა მხოლოდ ქართული მხარე, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა. ამის შესახებ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრეს–სპიკერმა ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა.

> *„საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ეს გახლავთ რუსეთის მხრიდან განხორციელებული მორიგი პროვოკაცია, რომელსაც გმობს არა მხოლოდ ქართული მხარე, არამედ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა. ამას ადასტურებს ეუთო-ს თავმჯდომარის, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მიროსლავ ლაიჩაკის საქართველოში ვიზიტი. 10 თებერვალს ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ასევე განიხილეს კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მდგომარეობა“, – განაცხადა მოისწრაფიშვილმა.*

ოკუპანტებმა სოფელ ხურვალეთთან დამონტაჟებულ სათვალთვალო

კოშკურაზე სამუშაოები განაახლეს. კოშკურა ხურვალეთთან 6 თებერვალს დამონტაჟდა. ოკუპანტებმა იქ მძიმე ტექნიკით მიიტანეს ჯიხური, რომელიც რკინის კონსტრუქციის სათვალთვალო კოშკურაზე განათავსეს.